

მიღებულია “კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს” 2008 წლის 5 ნოემბრის №1 სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის № 151/ო ბრძანებით

მშობელის კონსულტირება ბავშვის მოვლისა და განვითარების საკითხებზე

კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო
სტანდარტი

(პროტოკოლი)

მშობელის კონსულტირება ბავშვის მოვლისა და განვითარების საკითხებზე

პროტოკოლი

(პირველადი ჯანდაცვის რგოლის სამედიცინო პერსონალისთვის)

მძიმის ვიზიტებზე საკონსულტაციო თემატიკა

კონსულტირების თემებზე ნაბეჭდი საინფორმაციო მასალის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია მშობლის უზრუნველყოფა შესაბამისი ლიტერატურით.

პრენატალური ვიზიტი - ორსულობის მესამე ტრიმესტრი

- ახალშობილობის პერიოდი;
- ძუძუთი კვების უპირატესობა დედისა და ბავშვისთვის;
- კანით-კანთან კონტაქტი და კვების ადრეული დაწყების მნიშვნელობა;
- სამშობიარო სახლში დედისა და ბავშვის ერთად ყოფნის მნიშვნელობა.

I პოსტნატალური ვიზიტი - სიცოცხლის I კვირა

- პოსტნატალური ვიზიტის მნიშვნელობა, უფასო ვიზიტების რაოდენობა და მოცულობა;
- ახალშობილის მოვლა (ჭიპის მოვლა, კანის, თვალის, ყურის, ცხვირის ტუალეტი და სხვა);
- ახალშობილის კვება
 - ❖ თუ ბავშვი ბუნებრივ კვებაზეა - ძუძუთი კვების სარგებლიანობა, კვების ტექნიკა და პრინციპები, პრობლემების პრევენცია;
 - ❖ თუ ბავშვი ხელოვნურ კვებაზეა - ხელოვნური კვების პრინციპები (საკვების მომზადების ტექნიკა, ბავშვის კვების ტექნიკა, საათობრივი კვება).
- დედის კონსულტირება ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე;
- ტირილი;
- განვითარების ხელშეწყობა;
- დღის რეჟიმი;
- ძილი, პოზიცია ძილის დროს;
- უსაფრთხო გარემო და დაზიანების პრევენცია (ბავშვის საწოლის და ეტლის შერჩევა, გათბობის სისტემა, პოზიცია ძილის დროს და სხვა);
- მშობლის დამოკიდებულება ბავშვთან;
- საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

II ვიზიტი - თვე 1 თვე

- ჩვილის მოვლა;
- ახალშობილი ბუნებრივი/ხელოვნური კვების ტექნიკა და პრინციპები;

- მომავალი იმუნოზაცია და მისი მნიშვნელობა, ბავშვის ჯანმრთელობისათვის;
- ტირილი;
- განვითარების ხელშეწყობა (ფიზიკური და ფსიქომოტორული განვითარება, ბავშვთან ურთიერთობა, თამაში);
- დღის რეჟიმი;
- ძილი;
- მშობლის დამოკიდებულება ბავშვთან;
- თამაში და ასაკის შებამისი სათამაშოების შერჩევა;
- უსაფრთხო გარემო და დაზიანების პრევენცია;
- საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

III ვიზიტი - 2 თვე

- ჩვილის მოვლა;
- ბუნებრივი/ხელოვნური კვების ტექნიკა და პრინციპები;
- იმუნოზაცია, იმუნოზაციის შემდგომი პერიოდის მართვა, მომავალი იმუნოზაცია;
- განვითარების ხელშეწყობა (ფიზიკური და ფსიქომოტორული განვითარება, ბავშვთან ურთიერთობა, თამაში);
- დღის რეჟიმი;
- ძილი;
- მშობლის დამოკიდებულება ბავშვთან;
- თამაში და ასაკის შებამისი სათამაშოების შერჩევა;
- უსაფრთხო გარემო და დაზიანების პრევენცია;
- საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

IV ვიზიტი - 3 თვე

- ჩვილის მოვლა;
- ბუნებრივი/ხელოვნური კვების ტექნიკა და პრინციპები;
- იმუნოზაცია, იმუნოზაციის შემდგომი პერიოდის მართვა, მომავალი იმუნოზაცია;
- განვითარების ხელშეწყობა (ფიზიკური და ფსიქომოტორული განვითარება, ბავშვთან ურთიერთობა);
- დღის რეჟიმი;
- ძილი;
- მშობლის დამოკიდებულება ბავშვთან;
- თამაში და ასაკის შებამისი სათამაშოების შერჩევა;
- უსაფრთხო გარემო და დაზიანების პრევენცია;
- საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

V ვიზიტი - 4 თვე

- კვება, (ლაქტაციის შენარჩუნების ძირითადი პრინციპები);
- იმუნოზაცია, იმუნოზაციის შემდგომი პერიოდის მართვა, მომავალი იმუნოზაცია;
- ჩვილის მოვლის პრინციპები;
- განვითარების ხელშეწყობა;
- უსაფრთხო გარემო;
- სათამაშოს შერჩევა;
- დამატებითი კვების მნიშვნელობა, დანიშვნის ვადები. საკვების სახეობა, დამატებითი კვების ტექნიკა;
- საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

VI ვიზიტი - 6 თვე

- დამატებითი საკვები (დამატებითი საკვების სხვადასხვა სახეობების შერჩევა ასაკთან მიმართებაში);
- დამატებით კვებასთან ერთად ძუძუთი კვების გაგარძელება 2 წლამდე და მისი მნიშვნელობა;
- განვითარების ხელშეწყობა (ფიზიკური და ფსიქომოტორული, ბავშვთან ურთიერთობა);
- ტირილი;
- უსაფრთხო გარემო;
- თამაში, სათამაშოს შერჩევა;
- სხვადასხვა საკვების დანიშვნის ვადები, დამატებითი კვების ტექნიკა;
- კბილების ამოჭრასთან დაკავშირებული პრობლემები;
- პირის ღრუს ჰიგიენა;
- მშობლის ინფორმირება აუცილებელი ლაბორატორიული კვლევის შესახებ;
- საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

VII ვიზიტი - 9 თვე

- განვითარების ხელშეწყობა (ფიზიკური და ფსიქომოტორული, ბავშვთან ურთიერთობა);
- ბავშვის მოვლა;
- თამაში და სათამაშოს შერჩევა;
- სხვადასხვა საკვების დანიშვნის ვადები, დამატებითი კვების ტექნიკა;
- კბილების ამოჭრასთან დაკავშირებული პრობლემები;
- პირის ღრუს ჰიგიენა;
- უსაფრთხო გარემო;
- შემდგომი იმუნოზაცია – წყვ ვაქცინაცია, მნიშვნელობა;
- საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

VIII ვიზიტი - 12 თვე

- განვითარების ხელშეწყობა (ფიზიკური და ფსიქომოტორული, ბავშვთან ურთიერთობა);
- კვება, კვების პრინციპები, ოჯახის საკვები;
- წყე იმუნაზაცია, აცრის შემდგომი პერიოდი, აცრის შესაძლო შემდგომი რეაქცია, მართვა;
- ბავშვის მოვლა;
- თამაში და სათამაშოს შერჩევა;
- სხვადასხვა საკვების დანიშვნის ვადები, დამატებითი კვების ტექნიკა;
- კბილების ამოჭრასთან დაკავშირებული პრობლემები;
- პირის ღრუს ჰიგიენა;
- ძილის პრობლემები, შიშები და მათი დაძლევის გზები;
- უსაფრთხო გარემო;
- საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

მეთვალყურეობა 12 თვის შემდეგ.

12-24 თვემდე – რეკომენდებულია 3 ვიზიტი. შესაბამისად

I ვიზიტი – 15 თვე,

II ვიზიტი – 18 თვე,

III ვიზიტი – 24 თვე

საკონსულტაციო თემები:

- კვების ტექნიკა, საკვების სახეობა;
- განვითარების ხელშეწყობა (ფიზიკური განვითარება, ფსიქომოტორული განვითარება, ბავშვთან ურთიერთობა, თამაში, დისციპლინა, დამოუკიდებლობის ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა);
- ბავშვის მოვლა და ბავშვის პირადი ჰიგიენის ხელშეწყობა;
- კბილების ჰიგიენა;
- დღის რეჟიმი და ძილის ჩვევები;
- უსაფრთხოების წესები, უსაფრთხო გარემო;
- მშობლის დამოკიდებულება ბავშვთან;
- ინფორმაცია რევაქცინაციის შესახებ;
- საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

IV, V, VI ვიზიტი

ვადა – შესაბამისად 3, 4, 5 წელი

კონსულტირება:

- რაციონალური კვების პრინციპები, საკვების სახეობა;
- წყე იმუნიზაცია 5 წლის ასაკში;
- განვითარების ხელშეწყობა (ფიზიკური განვითარება, ფსიქომოტორული განვითარება, ბავშვთან ურთიერთობა, თამაში, დისციპლინა, დამოუკიდებლობის ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა);
- 3 წლის კრიზისი;
- ბავშვის მოვლა და ბავშვის პირადი ჰიგიენის ხელშეწყობა;
- კბილების ჰიგიენა;
- დღის რეჟიმი და ძილის ჩვევები;
- უსაფრთხოების წესები;
- მშობლის დამოკიდებულება ბავშვთან;
- უსაფრთხო გარემო (ოჯახში, გარეთ – სეირნობის, დასვენების, არდადეგების დროს);
- საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

VII-XVI ვიზიტი

ვადა – შესაბამისად 6-15 წელი

კონსულტირება:

- რაციონალური კვების პრინციპები, საკვების სახეობა;
- ტდ იმუნიზაცია 14 წლის ასაკში;
- განვითარების ხელშეწყობა (ფიზიკური განვითარება, ფსიქომოტორული განვითარება, ბავშვთან ურთიერთობა, თამაში, დისციპლინა, დამოუკიდებლობის ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა);
- ასაკის შესაბამისი პირადი ჰიგიენის ხელშეწყობა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- კბილების ჰიგიენა;
- დღის რეჟიმი და ძილის ჩვევები;
- უსაფრთხოების წესები;
- უსაფრთხო გარემო (ოჯახში, გარეთ – სეირნობის, დასვენების, არდადეგების დროს);
- საშიშროების ნიშნები, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებელი ვიზიტი.

ექიმის ვიზიტი და საკონსულტაციო თემატიკა

ექმანი ატარებს კონსულტაციას ბუნებრივი კვების, უსაფრთხოების პრინციპების, იმუნიზაციის, აგრეთვე ბავშვის განვითარების ძირითადი საფეხურების და მშობლის

როლზე განვითარების ხელშეწყობის შესახებ. ექთანი კონსულტირების პროცესში გადასცემს მშობელს ნაბეჭდ საინფორმაციო მასალას ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში.

ბაილანი რიმელსაც ეჩრდნობა აღნიშნული პროტოკოლი – ”მშობლის კონსულტირება ბავშვის მოვლისა და განვითარების საკითხებზე”

აღამიანური და მატერიალურ ტექნიკური რესურსი

- პირველადი ჯანდაცვის რგოლის სამედიცინო პერსონალი - ოჯახის ექიმი, ექიმი-პედიატრი, ექთანი.
- ნაბეჭდი საინფორმაციო მასალა, თვალსაჩინოებანი (ვიდეო-ფილმი, პლაკატი და სხვ).